

# პროფესორი თენგიზ ახმეტელი

100  
წელი



გრ. მუხაძის საქართველოს ქირურგთა ასოციაცია და „გურამ ტატიშვილის საქართველოს ქირურგიის მაცნეს“ რედაქცია აღნიშნავს პროფესორ თენგიზ ახმეტელის 100 წლის იუბილეს და პატივს მიაგებს მის ხსოვნას

პროფესორი თენგიზ ახმეტელი დაიბადა 100 წლის წინ – 1924 წელს, სწორედ იმ წელს, როცა გრიგოლ მუხაძემ დააარსა თბილისის კლინიკების კონფერენციების სხდომები, ის სხდომები, რომლებიც 1933 წელს გადაიქმნა საქართველოს სამედიცინო საზოგადოების ქირურგიულ სექციად, 1947 წელს – დამოუკიდებელ ქირურგიულ საზოგადოებად, ხოლო 1955 წელს – გრ. მუხაძის სახელობის თბილისის ქირურგთა სამეცნიერო საზოგადოებად. ასე რომ, ფართო გაგებით შესაძლებელია ითქვას, რომ პროფესორი თენგიზ ახმეტელი და ჩვენი საზოგადოება ასაკით ტოლნი არიან და 2024 წელს მათ 100 წელი შეუსრულდათ.

ამ სტატიაში გვინდა წარმოვიდგინოთ პროფესორი თენგიზ ახმეტელი, როგორც პიროვნება, ქირურგი, მეცნიერი, პედაგოგი, არაერთი დარგობრივი სამედიცინო აკადემიის აკადემიკოსი და ჩვენი საზოგადოების, გრ. მუხაძის საქართველოს ქირურგთა ასოციაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. იგი 1999 წლიდან 2012 წლამდე, 13 წელი ხელმძღვანელობდა აკად. გრ. მუხაძის თბილისის ქირურგიულ საზოგადოებას, იმ საზოგადოებას, რომელიც

მისი გარდაცვალების შემდეგ, პროფესორ გურამ ტატიშვილის ინიციატივით გადაკეთდა საქართველოს ქირურგთა სამეცნიერო საზოგადოებად.

პროფესორი ახმეტელის ცხოვრებასა და მოღვაწეობას არაერთი სტატია და მონოგრაფია მიეძღვნა, რომელთა შორის აღსანიშნავია პროფესორ ნოდარ ლომიძის და ლევან ძნელაძის მიერ 20 წლის წინ გამოცემული წიგნი „თენგიზ ახმეტელი“. დავესესხები ამ წიგნის წინათქმას, რომლის მიხედვით, „ბედნიერებაა, როდესაც ქართულ მედიცინას ჰყავს სახელგანთქმული პიროვნებები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ქართულ ქირურგიულ სკოლას, მათ შორის ერთ-ერთი ბრწყინვალე ადგილი ბატონ თენგიზ ახმეტელს უჭირავს ... თენგიზ ახმეტელი არის პიროვნება, რომელიც შეეცადა მაღალ მეცნიერულ დონეზე ჩაწვდომოდა მედიცინის, კერძოდ ქირურგიის მნიშვნელოვან საკითხებს, დაუღალავი კვლევა-ძიებით გადაეჭრა ისინი და თავისი წვლილი შეეტანა ქართული მედიცინის განვითარებაში. ბევრი რამის მთქმელია ქირურგიულ სარბიელზე ბატონი თენგიზის მიერ განვლილი მრავალი წელი. ამის ცოცხალი მაგალითია ათასობით

განკურნებული ადამიანი, ორასზე მეტი სამეცნიერო შრომა, რაც დღეს და მომავალშიც სტუდენტთა და ექიმთა სახელმძღვანელო იქნება. დიდი მეცნიერის, ბრწყინვალე პედაგოგის, ღრმა მოაზროვნის, კლინიციისტი და სათნო, გულისხმიერი მკურნალის ცხოვრება ახალგაზრდა თაობისათვის მისაბაძი მაგალითია“.

თენგიზ ახმეტელი დაიბადა 1924 წლის 1 ოქტომბერს შესანიშნავი დასტაქარის ილია ახმეტელის ოჯახში. ილია ახმეტელი გახლდათ ქართველ ქირურგთა პირველი პლედის ღირსეული წარმომადგენელი, შესანიშნავი კლინიციისტი, ბრწყინვალე ოპერატორი, გულისხმიერი მკურნალი, დიდი ნიჭისა და უსაზღვრო კეთილშობილობით დაჯილდოებული პიროვნება.

**ილია ახმეტელი**

ილია ახმეტელმა 1910 წელს დაამთავრა იურევის (ტარტუს) უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი და პროფესორი მ.როსტოვეცის რეკომენდაციით ჰოსპიტალური ქირურგიის კლინიკაში მუშაობდა.

1920 წლის ბოლოს ილია ახმეტელი ბრუნდება საქართველოში და მუშაობას სამხედრო ჰოსპიტალში გრ. მუხაძესთან იწყებს. ი. ახმეტელი იყო ფართო დიაპაზონის ქირურგი, აკეთებდა ოპერაციებს თავისა და ზურგის ტვინის სიმსივნეების და ტრავმის გამო, ბევრს მუშაობდა მუცლის ღრუში, ორთოპედია-ტრავმატოლოგიაში.

1933 წელს ი. ახმეტელს მიენიჭა დოცენტის, 1936 წელს კი პროფესორის წოდება. 1935 წელს ი. ახმეტელს ირჩევენ პედაგოგიური ფაკულტეტის ზოგად ქირურგიის კათედრის გამგედ.

ილია ახმეტელი გარდაიცვალა 1939 წლის 26 აგვისტოს.

ოჯახიშვილობა და გვარიშვილობა განმსაზღვრელი იყო ადრე დაობლებული ბატონი თენგიზის პიროვნებად ჩამოყალიბებაში. სახელოვანი მამის, ილია ახმეტელის, მემკვიდრემ შეძლო მამისეული ტრადიციების ღირსეუ-



**სურათი 2.** თენგიზ ახმეტელის მამა, პროფესორი ილია ახმეტელი, თსსი ზოგადი ქირურგიის კათედრის გამგე (1935-1939)

ლად გაგრძელება და ამით თავისი წვლილი შეიტანა ჩვენს ქვეყანაში თეორიული და კლინიკური მედიცინის – ქირურგიის განვითარების საქმეში.

ბავშვობის ბედნიერების წლებს მალე დამთავრება ელოდა. 1936 წელს დააპატიმრეს თენგიზის ბიძა – სანდრო ახმეტელი, მოკლე ხნის შემდეგ დააპატიმრეს მეორე ბიძაც – დავითი. ისინი ხალხის მტრებად გამოაცხადეს. ილია ახმეტელი დააპატიმრებას ელოდა – პატარა ჩემოდანი პირველი მოხმარების ნივთებით გამზადებული ჰქონდა. ბევრი წიგნი (მათ შორის, მიხეილ ჯავახიშვილის და გრიგოლ რობაქიძის) ლუმელში დაწვეს... ოჯახს მიძიმე დღეები დაუდგა. ახლობლებმა მათთან სტუმრობა შეწყვიტეს. იმ დროს ასეთ ოჯახებთან ურთიერთობა საზიფათო იყო. მიმოსვლა მხოლოდ უახლეს ნათესავებთან – დეიდებთან და მამიდასთან ჰქონდათ.

იმ წლებში ხშირად ტარდებოდა პარტიის და თანამშრომელთა კრებები, სადაც „ამუშავებდნენ“ ქვეყნის „მოლალატეებს“, „ხალხის მტრებს“, მათ შორის ილია ახმეტელის ძმებსაც. ამ „ლონისძიებებს“ უკვალოდ არ ჩაუვლია და 1939 წლის 26 აგვისტოს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლით, თენგიზს მამა გარდაეცვალა.

**გრიგოლ მუხაძე, ეგნატე ფიფია, მიხეილ ჩაჩავა**

არ შეიძლება რამდენიმე სიტყვა არ ითქვას გრ.მუხაძის შესახებ. ჭეშმარიტად განუზომელია მისი ამაგი ქართულ ქირურგიაში, იგი იყო საქართველოში სამკურნალო ფაკულტეტის დაარსების ინიციატორი, ერუდირებული ქირურგი-კლინიციისტი, მეცნიერული ქირურგიის ფუძემდებელი საქართველოში. მან დააოსტატა ქირურგთა რამდენიმე თაობა, რომლებიც წლების განმავლობაში სათავეში ედგნენ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, კათედრებს, საავადმყოფოებს. საქართველოში ძნელად მოიპოვებოდა კუთხე ან რაიონი, სადაც მომუშავე ქირურგს „ზიარება“ არ მიეღო გრ. მუხაძის კლინიკაში. გრ. მუხაძის ამ პრინციპებით და ცოდნით შეიარაღებული ახალგაზრდა სპეციალისტი თავისუფლად იკვლევდა გზას, ეუფლებოდა ქირურგის პროფესიას. ამ გზით იარა ბატონმა თენგიზმაც.

გრიგოლ მუხაძემ ახლადმიღებულ ასპირანტს კუჭის სეკრეციულ ფუნქციაზე ვაგოტომიის გავლენის შესწავლა დაავალა. ოპერაციის ეს სახე სულ 2 წლის დაწყებული იყო მსოფლიოში და ბევრი საკითხი საჭიროებდა შესწავლას. ეს გახდა ბატონი თენგიზის საკანდიდატო დისერტაციის თემა. ხელმძღვანელად დაენიშნა პროფესორი ეგნატე ფიფია.

ბატონ თენგიზზე დიდი გავლენა იქონია ასევე პროფესორმა მიხეილ ჩაჩავამ. პირველ რიგში, მრავლმხრივობით, უზადო ქირურგიული ტექნიკით, ავადმყოფებისადმი დამოკიდებულებით. ბატონი თენგიზი თვლის, რომ სწორედ ბატონ მიხეილთან ურთიერთობამ შეაყვარა მას ქირურგია და მასთან გატარებული წლები მისი ცხოვრების უბედნიერესი წლები იყო.

**კარიერა**

- 1951 წელს ბატონი თენგიზი კონკურსით დაინიშნა რცკს-ს ქირურგიული განყოფილების ორდინატორად.

- 1952 წელს აკადემიკოს ნ. ბურდენკოს სახ. ნეიროქირურგიის ინსტიტუტში გაიარა დახელოვნების ციკლი ნეიროქირურგიაში.
- 1951-1953 წლებში ზაფხულის თვეებში წამყვან ქირურგად მუშაობდა ყვარლის და თიანეთის რაიონის საავადმყოფოებში.
- 1953 წელს თენგიზ ახმეტელი მივლინებული იყო ქ. მოსკოვში, ნ. სკლიფასოვსკის სახ. სასწრაფო დახმარების ინსტიტუტში პროფესორ ს. იუდინთან.
- 1954 წელს იგი სამუშაო ადგილზე იმავი ინსტიტუტში პროფესორი პ. ანდროსოვთან სისხლძარღვთა მექანიკური საკერი აპარატის მუშაობის ასათვისებლად.
- 1957 წელს თენგიზ ახმეტელი ინიშნება რცკს-ს ახალგაზნაულ გულმკერდის ქირურგიის განყოფილების გამგედ და დაევალა ამ განყოფილების ორგანიზება.
- 1959-1961 წლებში ჯერ აკადემიკოს ა. ნათიშვილის სახ. ექსპერიმენტული მორფოლოგიის, ხოლო შემდეგ ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიისა და პედაგოგიის ინსტიტუტის სწავლული მდივანია.
- 1961 წლიდან თ. ახმეტელი ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრაზე ასისტენტად და სულ მალე სტუდენტ-ახალგაზრდების საყვარელი პედაგოგი ხდება. საგნის ღრმა ცოდნით, დამაჯერებელი საუბრით და ერუდიციით, მაღალი ინტელექტით და ზნეობრივი თვისებებით მისაბაძი ხდება ყოველი ახალგაზრდისათვის. ბატონი თენგიზის პედაგოგიური და პიროვნული ურთიერთობა აღსაზრდელებისათვის სამაგალითო იყო.
- 1963 წელს ბატონ თენგიზს ირჩევენ ამავე კათედრის დოცენტად, შემდეგ პროფესორად (1970) და კათედრის გამგედ (1983-1995).
- 1995 წლიდან ამავე კათედრის პროფესორია. კათედრის საქმიანობაში იგი ყოველთვის იყო ძირითადი დასაყრდენი ძალა.

**მემედ კომახიძე**

პროფესორმა მ. კომახიძემ ბატონ თენგიზს მოქმედების ფართო სარბიელი შეუქმნა, დიდ უფლებებს აძლევდა, რთულ ოპერაციებს ანდობდა. საქართველოს ქირურგთა საზოგადოების თავჯდომარედ ბატონი მემედის არჩევის შემდეგ, მან თ.ახმეტელი საზოგადოების გენერალურ მდივანად აირჩია, საკავშირო სამედიცინო აკადემიასთან არსებული საპრობლემო კომისიის თავჯდომარედ დანიშვნის შემდეგ მოადგილეობა დაავალა და ა.შ.

მ. კომახიძის კათედრის გამგეობის პერიოდში ბატონი თენგიზი მისი უშაუალო თანაშემწეა, ხოლო მ. კომახიძის სიცოცხლის ბოლო წლებში ბატონი თენგიზი ფაქტობრივად კათედრის გამგის მოავალეობას ასრულებდა. ნიშანდობლივია, რომ გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე ბატონმა მემედმა ინსტიტუტის რექტორს გაუგზავნა შუამდგომლობა, სადაც ითხოვდა თენგიზ ახმეტელის კათედრის გამგედ დანიშვნას კონკურსის გამოცხადებამდე, თავის გადაყვანას კათედრის პროფესორის თანამდებობაზე.

- 1986 წელს თენგიზ ახმეტელს მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება,



**სურათი 3.** თ. ახმეტელი მეუღლესთან მ. ყიფიანთან ერთად

- 1994 წელს არჩეული იყო სამედიცინო-ბიოლოგიური აკადემიის და 1997 წელს კი სამხედრო სამედიცინო აკადემიის აკადემიკოსად,
- 1995 წელს პირველთაგანი ექიმთა შორის დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

**ოჯახი**

ბატონი თენგიზი 1962 წელს დაქორწინდა. მისი მეუღლე – მანანა ყიფიანი ცნობილი დანტიისტი, თედორე ცხომელიძის შვილიშვილი და კურორტოლოგიის ინსტიტუტის ლეაწლმოსილი მეცნიერ-თანამშრომლის ნინო ცხომელიძის შვილია. მამამისი, კოტე ყიფიანი 33 წლისა რეპრესირებული იყო და ერთი წლის გოგონა დედის ანაზარა დარჩა. მანანა ყიფიანმა, მორფოლოგიის ინსტიტუტში მუშაობის შემდეგ, ძირითად სპეციალობად ნევროპათოლოგია აირჩია და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი აკად. პ. სარაჯიშვილის სახ. ნევროლოგიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ თანამშრომელი იყო.

ბატონი თენგიზის შვილებმა საექიმო დინასტია არ უღალატეს. უფროსი ქალიშვილი, ქეთევანი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატია. უმცროსი ქალიშვილი – ლალი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, მამის კვალს გაყვა, ქირურგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორია. ორივე მათგანი ექიმთა დინასტიის მეოთხე თაობას წარმოადგენენ.

შვილებმა თავისი ცხოვრება ქირურგებს დაუკავშირეს. ქეთევანის მეუღლეა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნიკოლოზ ფრუიძე. ლალის მეუღლეა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ქირურგიის დეპარტამენტის პროფესორი გია თომაძე.

**სამეცნიერო და აკადემიური მოღვაწეობა**

ბატონი თენგიზი თავის თეორიულ, კლინიკურ და ექსპერიმენტულ გამოკვლევებში მუდამ სიახლეს ეძებდა, ცდილობდა ნათელი მოეფინა ბევრი საკითხისთვის. მისი



სურათი 4. თ. ახმეტელი ქალიშვილთან ლ. ახმეტელთან ერთად (2004).

სამეცნიერო შრომები, წიგნები, რეცენზიები და საჯარო გამოსვლები ყოველთვის წარმოაჩენდა ბატონ თენგიზს, როგორც მეცნიერს, მის ერუდიაციას, განსწავლულობას და დიდ გამოცდილებას.

მუშაობის პირველ წლებში, გრ. მუხაძის დავალებით, მან საფუძვლიანად შეისწავლა ორმხრივი ღეროვანი ვაგოტომიის გავლენა კუჭის სერეციულ ფუნქციაზე და ლორწოვან გარსზე. მიღებული მონაცემები გამოქვეყნდა 1950, 1951, 1955 წლებში.

მომდევნო წლებში ბატონი თენგიზი აკად. კ. ერისთავის დავალებით ექსპერიმენტში სწავლობს ცხიმოვან ემბოლიასთან დაკავშირებულ საკითხებს. ბატონ კონსტანტინეს, თავის სადოქტორო დისერტაციაში, შესწავლილი ჰქონდა გვიანი სიკვდილის მექანიზმი ცხიმოვანი ემბოლიის დროს. თ. ახმეტელს უნდა შეესწავლა ცხიმოვანი ემბოლიით გამოწვეული მწვავე სიკვდილის მექანიზმი. ცდები ტარდებოდა ბოცვერებსა და ძაღლებზე. საკითხის მრავალმხრივი შესწავლის შედეგები გამოქვეყნებულია 1956, 1957 წლებში. მიღებული შედეგები საფუძვლად დაედო ავტორის საკანდიდატო დისერტაციას და მონოგრაფიას, სადაც ექსპერიმენტში მიღებული მონაცემების გარდა განხილულია ცხიმოვანი ემბოლიის კლინიკის, დიაგნოსტიკის და მკურნალობის საკითხები („ცხიმოვანი ემბოლია“, 1957).

1958 წელს თ. ახმეტელი იცავს საკანდიდატო დისერტაციას სათაურით „მწვავე სიკვდილის მექანიზმის საკითხისათვის ცხიმოვანი ემბოლიის დროს“.

თ. ახმეტელი გ. ნაცვლიშვილთან ერთად ამუშავებდა კორონაროგრაფიის ტექნიკის საკითხს. ექსპერიმენტში, ძაღლებზე, გამოყენებული იყო არნულფის მეთოდი, აცეტილქოლინით გამოყენებული პარკუჭების ხელოვნური ასისტოლია. აორტის ზონდირება სრულდებოდა უზშირესად საძილე არტერიიდან, საკონტრასტო ნივთიერების შეყვანა – „ელემის“ ფირმის მექანიკური შპრიცის დახმარებით. კვლევის შედეგები გამოქვეყნებული იყო 1959-

1961 წლებში. ეს იყო ამ საკითხზე საბჭოთა კავშირში პირველი პუბლიკაციები.

შემდგომში თ. ახმეტელი გვრიგინოვან არტერიებს სწავლობდა ტოტების გადაკვანძვის შემდეგ, რომლის მონაცემები მოხსენებული იყო ქ. რიაზანში, თემატიკურ კონფერენციაზე (მ. კომახიძე, თ. ახმეტელი, 1962).

ბატონი თენგიზის მიერ (ო. ბურჯანაძესთან და ლ.არშბასთან ერთად, 1960) ექსპერიმენტში ფილტვის რეზექციის დროს შესწავლილი იყო ოქსიჰემომეტრიული მაჩვენებლები. 10 ძაღლზე ჩატარდა პნევმექტომია, 4 – ლობექტომია. ოპერაცია ტარდებოდა ეთერ-ჟანგბადის ინტუბაციური ნარკოზით, როგორც ნორმოთერმიის, ასევე ჰიპერნაციის და ჰიპოთერმიის პირობებში (28-29°C). ცვლილებები მეტად იყო გამოხატული ე.წ. რეფლექსოგენურ ზონებში მანიპულაციის დროს. ჰიპოთერმიისა და ნეიროლეპტიკური პრეპარატების შეყვანის ფონზე ოქსიჰემომეტრიული მაჩვენებლები არ იცვლებოდა.

1957-1960-იან წლებში კლინიკა დაინტერესებული იყო დამწოლი პერკარდიტების დროს ნაწილობრივი და სუბტოტალური პერიკარდექტომიის შედეგების შესწავლით (კ. ერისთავი, ა. ერისთავი, თ. ახმეტელი).

80-იანი წლებიდან თ. ახმეტელის ხელმძღვანელობით კლინიკის თანამშრომლები მრავალმხრივ სწავლობდნენ ქირურგიული ინფექციის და პერიტონიტის კომპლექსური მკურნალობის საკითხებს. პერიტონიტის მკურნალობის საკითხს მიეძღვნა 4 სადოქტორო დისერტაცია (გ. ხომერიკი, 1968; ნ. ლომიძე, 1992; გ. გვასალია, 1992; ლ. ახმეტელი, 2002), პერიტონიტის და ქირურგიული ინფექციის სხვადასხვა ასპექტს 6 საკანდიდატო დისერტაცია (ე. გოცაძე, 1985; ვ. ტლაშაძე, 1988; ვ. დარსალია, 1990; ბ. ირემაშვილი, 1990; თ. ჭკადუა, 1990; თ. ჯავახიშვილი, 1990). კლინიკის თანამშრომლების მიერ ჩირქოვანი ქირურგიის ირგვლივ გამოქვეყნებულ შრომებში განხილულია რბილი ქსოვილების ჩირქოვან-ანთებითი პროცესების თანამედროვე მკურნალობის საკითხები,

ბაქტერიოფაგის, პაპაინის გამოყენების ეფექტიანობა ჩირქოვანი პროცესების მკურნალობის კომპლექსში, ჩირქოვანი პროცესების სეფსისით და სეფსისური შოკით გართულება, მათი დიაგნოსტიკის და მკურნალობის საკითხები. 1975 წელს, თ. ახმეტელის მიერ, მ. კომანიძესთან და გ. ხომერვიანთან ერთად, რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში ასახულია კლინიკის გამოცდილება დიაბეტიკით დაავადებულ ავადმყოფებში ქირურგიული დაავადებების, უპირატესად ჩირქოვანანთებითი პროცესების მკურნალობის გამოცდილება.

ძირითადი პრობლემა, რომელსაც თ. ახმეტელი ამუშავებდა კლინიკის თანამშრომლებთან ერთად არის მუცლის ღრუს ქირურგია. ამ პრობლემაში ცენტრალური ადგილი უჭირავს კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების ქირურგიული მკურნალობის საკითხებს.

ოთხმოციანი წლებიდან, თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების გართულებების მკურნალობაში ფართოდ დაინერგა ორგანოსშემნახველი ოპერაციები ვაგოტომიის სახით. გამოყენებული იყო როგორც ღეროვანი, ასევე სელექციური და პროქსიმალური სელექციური ვაგოტომია, მადრენირებელი ოპერაციით ან მის გარეშე. გეგმური ოპერაციების დროს კლინიკა უპირატესობას აძლევს ვაგოტომიის კომბინირებულ მეთოდს – უკანა ღეროვან ან სელექციურ ვაგოტომიას და წინა სერომიოტომიას. მადრენირებელი ოპერაციებიდან – პილოროპლასტიკას. სათანადო, მკაცრი ჩვენებით ვაგოტომიას მიმართავენ სასწრაფო ოპერაციის დროსაც – წყლულის პერფორაციისა და წყლულისმიერი პროფუზული სისხლდენის შემთხვევაში. თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის პერფორაციის პირველ საათებში, როდესაც არ არის პერიტონიტის სურათი, კეთდება წყლულის ამოკერვა, პილოროპლასტიკა და ვაგოტომია. სისხლდენის შემთხვევაში კეთდება გასტროდუოდენოტომია, წყლულის ამოკერვა, პილოროპლასტიკა და ვაგოტომია, რომელიც თითქმის არ ახანგრძლივებს ოპერაციას. გამოცდილი ქირურგები შესაფერისი ჩვენების დროს მიმართავენ კომბინირებულ ვაგოტომიას (თ. ახმეტელი თანაავტორებით, 2001).

თ. ახმეტელმა რ. პაპავასთან ერთად შეიმუშავა კომბინირებული ვაგოტომიის ორიგინალური მეთოდი (1998), რაზეც მიღებული იყო პატენტი გამოგონებაზე.

ქირურგთა ტაქტიკა მწვავე კენჭოვანი ქოლეცისტიტის დროს განხილულია თ. ახმეტელის და თანაავტორების (1976) მიერ. მომდევნო ათწლეულებში კლინიკის მასალის საფუძველზე საკითხი მრავალმხრივ არის განხილული თ. ახმეტელის, რ. პაპავას და ლ. ძნელაძის მონოგრაფიაში „ნაღველკენჭოვანი დაავადება“ (1996).

მექანიკური სიყვითლის კლინიკის მასალა განხილულია ნ. ლომიძის, თ. ახმეტელის და ლ. ძნელაძის მიერ (2000), შემდგომში თ. ახმეტელის და ლ. ძნელაძის მიერ გამოცემული იქნა მონოგრაფია „მექანიკური სიყვითლე“ (2003). წიგნში მეცნიერებათა თანამედროვე დონეზე განხილული აბდომინური ქირურგიის აქტუალური საკითხები, რომელიც ეხება მექანიკური სიყვითლის გამომწვევ მიზეზებს, დიაგნოსტიკის, დიფერენციული დიაგნოსტიკის და მკურნალობის თანამედროვე მეთოდებს. ავტორები

ეყრდნობიან სამამულო და მსოფლიო ლიტერატურას, საკუთარ კლინიკურ გამოცდილებას.

1984 წელს თ. ახმეტელმა ექიმ ლ. ძნელაძესთან ერთად გამოაქვეყნა მონოგრაფია – „წვრილი ნაწლავის ქირურგიული დაავადებები“, რომელშიც განხილულია წვრილი ნაწლავის პათოლოგიური პროცესების ეტიოლოგიის, პათოგენეზის, სიმპტომატოლოგიის, კლინიკისა და მკურნალობის საკითხები. ავტორები, გარდა ლიტერატურული მონაცემებისა, ეყრდნობიან საკუთარ კლინიკურ გამოცდილებას. მონოგრაფიაში განხილულია წვრილი ნაწლავის დივერტიკული და დივერტიკულოზი, მწვავე წყლულები, სპეციფიკური დაავადებები, კრონის დაავადება, სისხლის მიმოქცევის მოშლასთან დაკავშირებული პროცესები, გაუვალობის სხვადასხვა სახე, სიმსივნეები, ხვრელმილები, უცხო სხეულები, ფართო რეზექციის შემდგომი პერიოდი და ა.შ.

პროფესორ თ. ახმეტელის ხელმძღვანელობით ასპირანტ ო. ჭკადუას მიერ შესწავლილი იყო ენდოლიმფური ანტიბიოტიკოთერაპიის გამოყენების შესაძლებლობები. ენდოლიმფური ანტიბიოტიკოთერაპია ტარდებოდა ტერაპიულ რეჟიმში ლიმფური ძარღვის კათეტერიზაციით, რაც ხანგრძლივი ინფუზიის საშუალებას იძლეოდა. ენდოლიმფური ანტიბიოტიკოთერაპიის მონაცემები საფუძვლად დაედო ო. ჭკადუას საკანდიდატო დისერტაციას (1990).

შემდგომ წლებში პირდაპირი ენდოლიმფური თერაპიის გარდა კლინიკაში დამუშავდა და დაინერგა



სურათი 5. თ. ახმეტელი ოპერაციის დროს.



სურათი 6. თ. ახმეტელი ოპერაციის დამთავრების შემდეგ (1989)

არაპირდაპირი ე.წ. ლიმფოტროპული ანტიბიოტიკო-თერაპია და შესწავლილი იყო ამ მეთოდის ეფექტიანობა ჩირქოვან-ანთებითი პროცესების მკურნალობის კომპლექსში. დანერგილი იყო, აგრეთვე, რეგიონული ლიმფოტროპული მედიკამენტური თერაპია ლიმფოსტიმულაციით, რისთვისაც გამოყენებული იყო ლვიძლის მრგვალი იოგი, ბრუნის წერტილი. ენდოლიმფური ლიმფოტროპული და რეგიონული ლიმფოტროპული ანტიბიოტიკოთერაპია გამოყენებული იყო პერიტონიტის, დესტრუქციული აპენდიციტის, აპენდიკულური ინფილტრატის, მწვავე გინეკოლოგიური დაავადებების, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი პროცესების მკურნალობის კომპლექსში (ლ. ახმეტელის სადოქტორო დისერტაცია, 2002). შედეგები გამოქვეყნებული იყო თ. ახმეტელის და ლ. ახმეტელის მიერ თანაავტორებთან ერთად (1990, 1995, 2000, 2001, 2002). ლ. ახმეტელის მიერ პირველად იყო გამოყენებული ენდოლიმფური და ლიმფოტროპული პლაფერონოთერაპია (პლაფერინი ლბ) მეორადი იმუნოდეფიციტის კორექციის მიზნით.

სტუდენტებისა და ახალგაზრდა ექიმებისათვის თანა-ავტორებთან ერთად (გ. გვასალია, თ. ტაბუცაძე) გამოცემული იყო დამხმარე სახელმძღვანელო „სადიაგნოზო და სამკურნალო მანიპულაციები ქირურგიაში“, სადაც თავმოყრილია ის მანიპულაციები, რომლებიც შეიძლება დასჭირდეს ქირურგს პრაქტიკული მოღვაწეობის დროს. საყურადღებოა, რომ აღნიშნული წიგნის მეორე, შესწორებული და შევსებული გამოცემა გამოვიდა 2004 წელს (თ. ახმეტელი, გ. გვასალია, ლ. ახმეტელი, თ. ტაბუცაძე).

ჩიყვის კლინიკის და მკურნალობის ცალკეული საკითხები, ასევე, განხილული იყო თ. ახმეტელის შრომებში

(1960, 1966, 1967, 1968, 1969). 1966 წელს რუსულ ენაზე გამოიცა მონოგრაფია „ჩიყვის კლინიკის, პათომორფოლოგიის და ქირურგიული მკურნალობის საკითხები“. მასში თ. ახმეტელი, კლინიკური მასალის გარდა (3000 ნაოპერაციები ავადმყოფი), იხილავს საკუთარი კვლევის შედეგებს, კლინიკის გამოცდილებას ტოქსიკური და არატოქსიკური ჩიყვის მკურნალობაში. ჩატარებული კვლევა საფუძვლად დაედო ავტორის სადოქტორო დისერტაციას (1967), რომელიც დაცული იყო ქ. მოსკოვში, საკავშირო ქირურგიის ცენტრში. შემდგომ, კლინიკაში, ფარისებრი ჯირკვლის ქირურგიასთან დაკავშირებული საკითხები ბატონ თენგიზის ხელმძღვანელობით შესწავლილი იყო ასპირანტ ა. ბერიძის, ასისტენტების დ. გიორგაძის, თ. ქორიძის მიერ და გაფორმებული იყო საკანდიდატო დისერტაციების სახით.

თ. ახმეტელის ხელმძღვანელობით კლინიკაში დაინერგა ინტრაოპერაციული ანტიბიოტიკოთერაპია, ინტრააორტული ანტიბიოტიკო- და ინფუზიური თერაპია, ქოლეცისტექტომია ზედა შუა ლაპაროტომიით, ქოლეცისტოეუნოსტომია იგრეკით გამოთიშულ ნაწლავზე, ინტრა- და ექსტრაკორპორული დეტოქსიკაციის მეთოდები, ღორის ელენთის მიდგმა და ჩანაცვლებითი პლამბაფერები, სისხლის ულტრაიისფერი დასხივება, დაპროგრამებული რელაპაროტომია, ლაპაროტომიულ განაკვეთებში ელვა-შესაკრავის ჩაკერება (ნ. ლომიძე), ენდოლიმფური ფარმაკოთერაპია, ლიმფოტროპული ანტიბიოტიკოთერაპია ლიმფოსტიმულაციით, ლიმფური აუზის სანაცია, ვაგოტომიის სხვადასხვა სახე, როგორც გეგმური, ისე ურგენტულ ქირურგიაში. პირველად საქართველოში კლინიკაში დაწყებული იყო



**სურათი 7.** კათედრის შტატი, 1971 წელი. სხედან (მარცხნიდან): პროფ. თ. ახმეტელი, პროფ. ს. ბუაჩიძე, კათედრის გამგე: პროფ. მ. კომახიძე, პროფ. გ. ბოჭორიშვილი, პროფ. რ. შელია; მეორე რიგი (მარცხნიდან): ასისტ. დ. გიორგაძე, ლაბორანტი თ. ბეჟანიშვილი, უფრ. ლაბ. ნ. თევზაძე, პროფ. თ. სირია, ასისტ. ე. ბაკურაძე, ასისტ. ნ. დოლიძე, ასისტ. ნ. კახიძე; მესამე რიგი (მარცხნიდან): დოც. გ. ფხაკაძე, ასპ. გ. გვასალია, ასპ. ა. ბერიძე, ორდ. ა. ჯანდიერი, ასისტ. ს. ხუნდაძე, ასპ. თ. ქორიძე, ასისტ. შ. ნემსიწვერიძე.



**სურათი 8.** პოსპიტალური ქირურგიის კათედრა, 1996 წ. სხედან (მარცხნიდან) : პროფ. თ. ტაბუცაძე, პროფ. გ. კაკოიშვილი, პროფ. თ. ახმეტელი, კათედრის გამგე პროფ. ნ. ლომიძე, პროფ. გ. ბოჭორიშვილი, ასისტ. დ. გიორგაძე; დგანან : დოც. რ. პაპავა, ლაბ. კ. ქუნთელია, დოც. თ. ქორიძე, ასისტ. ნ. ხოტენაშვილი, დოც. ნ. ფრუიძე, უფრ. ლაბ. ლ. საგინაშვილი, დოც. გ. ტატიშვილი, ასისტ. ნ. ხმალაძე.



სურათი 9. პროფესორი თენგიზ ახმეტელი თსსუ ქირურგიულ სწეულებათა კათედრის 75 წლის იუბილეზე 29.II.1996.

ლაპაროსკოპიული ქოლეცისტექტომიები (თ. ტაბუცაძე) და სხვ.

ახალგაზრდა კადრების აღზრდის გრ. მუხაძისეული ტრადიციები, რომელსაც შემდეგ აგრძელებდამ. კომახიძე, გრძელდებოდა თ. ახმეტელის კათედრის გამგეობის დროსაც. მისი ხელმძღვანელობით შესრულებულია 24 დისერტაცია, მათ შორის 8 სადოქტორო.

ბატონ თენგიზს საყოველთაოდ აღიარებული საოპერაციო ტექნიკა ჰქონდა, მისი ოპერაცია უბრალო, დახვეწილი სტილით გამოირჩეოდა, ტექნიკურად რთულ სიტუაციაში ისეთ იოლ გამოსავალს ნახულობდა, რომ მისი ასისტენტები განცვიფრებაში მოდიოდნენ. მისთვის ოპერაციის შაბლონი არ არსებობდა, თვითული ოპერაციის დროს ავლენდა დიდ შემოქმედებით აღლოს, იმპროვიზაციას და მაღალი კლასის ოპერაციულ ტექნიკას.

ადამიანის სხეულის რომელ ნაწილს არ შეხებია მისი მარჯვენა – სისხლძარღვებსა და ნერვებს, მუცლის ღრუსა და გულმკერდის ღრუს ორგანოებს. მას უხდებოდა რთულ და ბევრჯერ სარისკო ოპერაციების კეთება. ბატონი თენგიზის მოქმედების სფერო უპირატესად იყო მუცლის ღრუს ქირურგია. იგი, მასში არსებულ ყველა ორგანოზე, ოპერაციებს ერთნაირი ვირტუოზობით ატარებდა.

დიდი შინაგანი ძალა გააჩნდა პროფესორი თ. ახმეტელს. მის სიტყვაში იყო თილისმა, რითაც იმორჩილებდა დაავადებულ ადამიანს და ისინიც ანდობდნენ მას თავის სიცოცხლეს. ჩვენ ყოველთვის ვატყობდით იმ განცდებს, რომელიც ეუფლებოდა მას წარუმატებლობის შემთხვევაში. მისთვის ადამიანის დაკარგვა უძძიმესი ტრავმა იყო, წარმატებებზე საუბარი კი მას არ სჩვეოდა.

ბატონი თენგიზი გამოირჩეოდა მჭერმეტყველების თავისებური, განსაკუთრებული უნარით, უხვად ჰქონდა მომადლებული ჭეშმარიტი მეცნიერის სისადავე. მკაფიო ლოგიკა, დახვეწილი ფრაზა დაუფიქრარს ქმნიდა მის ლექცია-პრაქტიკულ მეცადინეობებს, საჯარო გამოსვლებს.

თ. ახმეტელი სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ვადით იყო საქართველოს ქირურგთა სამეცნიერო საზოგადოების გენერალური მდივანი (1972-1981), საკავშირო საპრობლემო კომისიის თავჯდომარის მოადგილე (1972-1980), თბილისის ქირურგიული საზოგადოების თავჯდომარის მოადგილე, რესპუბლიკის ქირურგთა საზოგადოების, გასტროენტეროლოგთა საზოგადოების გამგეობის წევრი, გრ. მუხაძის სახ. თბილისის ქირურგთა საზოგადოების თავჯდომარე, ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოს თავჯდომარე, ქირურგთა სალიცენზიო კომისიის წევრი, პროფესორთა საბჭოს წევრი, თსს უნივერსიტეტის საპრობლემო კომისიის წევრი, ჯანდაცვის სამინისტროსთან არსებული ბიოეთიკის ეროვნული საბჭოს წევრი, ჟურნალ „ქართული მედიცინის სიახლენი“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, ჟურნალების „ქირურგია“, „ონკოლოგია“ სარედაქციო საბჭოებს წევრი და სხვა. პროფესორი თენგიზ ახმეტელი თსსუ ქირურგიულ სწეულებათა კათედრის 75 წლის იუბილეზე 29.II.1996.

2024 წელს ბატონი თენგიზი 100 წლის გახდებოდა. იგი დღესაც ახსოვს ჩვენს ქვეყანაში მოღვაწე ყველა იმ ქირურგს, რომელსაც განათლება საქართველოში აქვს მიღებული. ჩვენი ვალაია შევინახოთ და მომავალ თაობას გადავცეთ ხსოვნა ბატონ თენგიზი ახმეტელის შესახებ, როგორც ადამიანის, რომელმაც მკაფიო და უაღრესად დადებითი კვალი დააჩნია ქართულ ქირურგიას, დიდი წვლილი შეიტანა სამამულო ქირურგიის განვითარებაში როგორც ქირურგმა, მეცნიერმა, პედაგოგმა, პიროვნებამ.

საქართველოს გრ. მუხაძის ქირურგთა ასოციაციის გამგეობის სახელით,

*პროფესორი გია თომაძე  
თსსუ ქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი*

*მთოქლონი თენგიზ ახმეტელი  
ბიოციენტოლოგი, მკვლევარი, მასწავლებელი.  
ვაძაყობ, რომ მისი მოწოდება ვიყავი!*



**სურათი 1.** ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრა 1921-1998წწ. 1998 წლიდან ქირურგიულ სნეულებათ №1 კათედრა/დეპარტამენტი. კედელზეა ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის გამგეების სურათები: პროფ. გრიგოლ მუხაძე 1921- 1948 წწ; პროფ. კონსტანტინე ერისთავი 1949-1960 წწ; პროფ. მემედ კომახიძე 1960-1980 წწ; პროფ. ირაკლი მაგლობლიშვილი 1981-1983 წწ; დგანან: პროფ. თენგიზ ახმეტელი (კათედრის გამგე 1983-1995წწ) და პროფ. ნოდარ ლომიძე (კათედრის გამგე 1995-2020წწ)

თითქოს ადვილია ილაპარაკო შენ მასწავლებელზე და ამავდროულად რა რთული ყოფილა საუბარი ბუმბერაზ ქირურგზე, უკეთილშობილეს ადამიანზე, პროფ. თენგიზ ახმეტელზე.

ბატონი თენგიზის მამა, ილია ახმეტელი იყო ბრწყინვალე ქირურგი, კათედრის გამგე, მამიდა - საქართველოში ქირურგიის ფუძემდებლის, აკადემიკოს გრ. მუხაძის მეუღლე. ამიტომ ქირურგიულ ოლიმპზე ასვლა მისთვის ადვილი უნდა ყოფილიყო, თუმცა ავიდა დახმარების გარეშე, ღირსეულად, დიდი შრომის ფასად. მან ამ ოლიმპის ყველა საფეხური უკლებლივ გაიარა: მე-2 კურსის სტუდენტი ანატომიის კათედრის პედაგოგია, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ რესპუბლიკური საავადმყოფოს ორდინატორია 6 წლის განმავლობაში, შემდეგ გულმკერდის ქირურგიის განყოფილების გამგე 3 წელი, ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის ასისტენტი,

დოცენტი, პროფესორი და კათედრის გამგე 12 წლის განმავლობაში. მთელი მოღვაწეობის მანძილზე ის აფრქვევდა თავისი კოლეგების და პაციენტების მიმართ დიდ სიყვარულს, თანაგრძნობას, გულისხმიერებას, გვერდში დგომას.

თენგიზ ახმეტელს დიდი და ძლიერი ხელები ჰქონდა. ხელს რომ ჩამოართმედი, მის სიძლიერეს გრძნობდი. ოპერაციის დროს კი მისი ხელები ფაქიზად მოძრაობდა, ორგანოებს ეფერებოდა. უნდა გენახათ რა სისწრაფით კერავდა და ადებდა კვანძებს, გვეგონებოდათ ქარგავდა. ნებისმიერ სიტუაციაში სხვადასხვა ვარიანტებიდან ამოირჩევდა კონკრეტული შემთხვევისათვის ყველაზე ოპტიმალურ და ნაკლებად ტრავმულ მიდგომას. თითოეულ ავადმყოფს უკეთებდა იმ ოპერაციას, რაც მისთვის ნაჩვენები იყო.

მასსოვს, როგორ უკეთებდნენ ოპერაციას მძიმე პაციენტს ორი დიდ ქირურგი პროფ. ირაკლი მაგლობლიშვილი და პროფ. თენგიზ ახმეტელი. მე მათ ასისტირებას ვუწევდი. უნდა გენახათ როგორი სილამაზით და ნაზად მოძრაობდნენ ორი დიდი ვირტუოზი „პიანისტის“ ხელები, როგორი პატივისცემით მიმართავდნენ ერთმანეთს. „თენგიზ, მგონი შენი მხრიდან უფრო ადვილია მუშაობა“. ცოტა ხნის შემდეგ კი „ბატონო ირაკლი, მგონი თქვენი მხრიდან აჯობებს ოპერაციის გაგრძელება“. ასე ლამაზად, ორმა ბუმბერაზმა ქირურგმა, წარმატებით დაასრულა ოპერაცია.

ცნობილია, რომ თენგიზ ახმეტელი ბრწყინვალე ოპერატორი იყო, ხოლო ასისტირების დროს გვასწავლიდა, თუ როგორ უნდა დაეხმარო ოპერატორს, რომ ის ადვილად მუშაობდეს და არ შეუშალო ხელი.

ერთხელ, ღამით, როდესაც მძიმე პაციენტთან გამიჭირდა გადაწყვეტილების მიღება, თუ როგორ გამეგრძელებინა ოპერაცია, დავუკავშირდი ტელეფონით ბატონ თენგიზს, ის იმ პერიოდში ავადმყოფობდა, ამიტომ მოსვლა არ შეეძლო. ტელეფონით მიკარნახა, თუ რა უნდა გამეკეთებინა. ოპერაციის დასრულების შემდეგ მივხვდი, რომ ოპერაცია გააკეთა ბატონმა თენგიზმა ჩემი შესრულებით.

დღეს სრული პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა ოპერაციული ტექნიკის ფლობა ქირურგისათვის აუცილებელია, მაგრამ საფუძვლიანი თეორიული მომზადების გარეშე, წინასაოპერაციო მოზადების, ოპერაციული ტაქტიკის გადაწყვეტის და პოსტოპერაციული პერიოდის მართვის ცოდნის გარეშე პროფესიონალი ქირურგი ვერ გახდება. სწორედ ასეთი დიდი პროფესიონალი იყო პროფ. თენგიზ ახმეტელი და ამას ასწავლიდა თავის მოწაფეებს.

მე გადავხედე ბატონი თენგიზის ჩანაწერებს, სადაც მითითებული იყო, თუ რა ოპერაციები პირველად დაინერგა ჰოსპიტალური ქირურგიის კლინიკაში. გასაკვირი არ იყო, რომ ამ სიაში ყველაზე მეტი გაკეთებული ჰქონდა პროფესორ თენგიზ ახმეტელს. მას შესრულებული ჰქონდა ოპერაცია გულმკერდის და მუცლის ღრუს ყველა ორგანოზე. იყო აგრეთვე მეცნიერი

ქირურგი, ჰქონდა გამოქვეყნებული მრავალი სტატია და მონოგრაფია. უნდა გენახათ, როგორ წერდა სტატიებს და რეცენზიებს. არ უყვარდა, როდესაც მასთან მიიტანდნენ არასრულყოფილ ნაშრომს. ხშირად მაჩვენებდა მის მიერ შესწორებულ შრომებს, არა იმისთვის რომ ავტორი დაეცინებინა, არამედ იმისთვის, რომ ჩვენ ახალგაზრდებს მომვალში ნაშრომის წერის კულტურა გვცოდნოდა და პასუხისმგებლობით მოვკიდებოდით ნებისმიერ საქმიანობას.

პროფ. თ. ახმეტელის ხელმძღვანელობით შესრულდა 16 საკანდიდატო და 9 სადოქტორო დისერტაცია. მათ შორის ერთი სადოქტორო დისერტაცია ჩემია, „გემურის რელაპარატომია და ჩანაცვლებითი პლასტიკური მწვავე გავრცელებული პერიტონიტის დროს“, რომელიც შესრულებული იყო პროფ ვ. ბუიანოვის, პროფ თ. ახმეტელის და აკად ნ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით.

ჩვენ, მის მოსწავლეებს, არ გადაგვიხვევია იმ გზისთვის, რაც ბატონმა თენგიზმა დაგვიტოვა, როგორც ქირურგმა, როგორც მეცნიერმა, ოჯახიშვილმა, ქართველმა მოქალაქემ. ნათქვამია: რითი განსხვავდება ჭკვიანი და ბრძენი ერთმანეთისაგან? ჭკვიანი რთული სიტუაციიდან პოულობს გამოსავალს, ხოლო ბრძენი ასეთ სიტუაციაში არ ვარდება. პროფესორი თენგიზ ახმეტელი ასეთი ბრძენი ქირურგი იყო.

მე ნამდვილად გამიმართლა, რომ ჩემი მასწავლებელი პროფ. თენგიზ ახმეტელი იყო, რომელიც პროფესიული უნარ-ჩვევების, მეცნიერული კვლევისა და ანალიზის, გამოცდილების გაზიარების, სწავლის გარდა უხვად გვაძლევდა ავადმყოფისა და საერთოდ მოყვასის, მეგობრების, ოჯახის წევრების, ნათესავების და სამშობლოს სიყვარულის ურიცხვ მაგალითებს.

ნებისმიერი პიროვნება ამაცობს თავისი შშობლებით, მასწავლებლებით. მეც ვამაცობ, რომ ჩემი მასწავლებელი იყო პროფ. თენგიზ ახმეტელი.

ჩემი აზრით, ყველაზე კარგად დაახასიათებს თენგიზ ახმეტელს გრიგოლ ორბელიანის სიტყვები: „კაცი ის არის, ვინ არის ზეგარდმო მაღლით ცხებული; მის მხოლოდ ღვაწლი არს კეთილ, მით მხარე დამშვენებული“.

*პროფ. ნოდარ ლომიძე*

# მხოველთა თენგიზ ახმეტელი 100 წელი

გამორჩეულ ქართველ ექიმს, სახელგანთქმულ ქირურგსა და მეცნიერს ბატონ თენგიზ ახმეტელს წელს დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდებოდა. მინდა გავიხსენო ეს დიდებული პიროვნება და საოცარი ადამიანი.

ჩემი თაობის ნებისმიერ ექიმს და არა მხოლოდ ქირურგს რომ ჰკითხოთ, ვინ იყვნენ მათი საყვარელი მასწავლებლები, პირველთა შორის უყოყმანოდ დაგისახელებენ ბრწყინვალე დასტაქარს, ჭეშმარიტ მეცნიერს, დიდბუნებოვან კაცსა და გულისხმიერ პედაგოგს - ბატონ თენგიზ ახმეტელს. მისგან მარტო საექიმო ხელოვნება კი არ იყო სასწავლი, არამედ ისიც, თუ როგორ ვუთხრათ უარი ათას საცდურს, რათა გადავარჩინოთ საკუთარ თავში მთლიანი, გაუზზარავი და უზადო ადამიანი.

მთელი მისი ცხოვრება დასტურია იმისა, რომ ექიმის პროფესია განსაკუთრებულია. იყო ექიმი - ეს მოწოდებაა. ის კი ან გაქვს ან - არა. ყოველგვარ პროფესიაში საჭიროა სიყვარული და თანადგომა. ექიმთან სხვადასხვა ასაკის, განათლების, აღზრდისა და პროფესიის ადამიანები მოდიან. ექიმს ყველასთან განსაკუთრებული მიდგომა სჭირდება. ის ვალდებულია, ავადმყოფს არა მარტო ეჭვი და შიში გაუფანტოს, არამედ რწმენა ჩაუნერგოს, დააწყნაროს და სიმშვიდე შეუნარჩუნოს. ექიმსა და პაციენტს შორის ოდითგანვე გადებული ხიდი თუ მართლა ჩატყდა, სასწრაფოდ უნდა ვიზრუნოთ მის გამთელებზე. უბრალო წესია: არ შეიძლება ავადმყოფს გაუკეთო ის, რასაც შენ თავს ან შენს ახლობელს არ გაუკეთებდი - სწორედ ზემოთხსენებული პრინციპებით ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ბატონი თენგიზი.

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო ბატონი თენგიზის თავმდაბლობა და უბრალოება. დიდ პროფესიულ წარმა-

ტებას მისთვის თავბრუ არ დაუხვევია. ყოველთვის გამოირჩეოდა გულისხმიერებით, სათნოებითა და კეთილშობილებით. სადაც არ უნდა შეხვედროდით მას, არასდროს გაგრძნობინებდათ თავის უპირატესობას, რომ ის დოქტორი და პროფესორია, შენ კი მასზე რანგით დაბალი ხარ.

ბატონი თენგიზ ახმეტელის პიროვნებაში განუყოფლად იყო გაერთიანებული ფართო მსოფლმხედველობა და პროფესიონალიზმი, არჩეული გეზის მსახურების გაუნელებელი წადილი და შინაგანი ენერჯია. ის ბუნებით კეთილშობილი, ხასიათით - ინტელექტუალი, ცხოვრების წესით კი - დაუღალავი მშრომელი იყო. ათწლეულების განმავლობაში მუხლჩაუხრელად ემსახურებოდა საყვარელ სფეროს - მედიცინას, კერძოდ კი ურთულეს სპეციალობას - ქირურგიას. ყველა პაციენტს გამორჩეული პასუხისმგებლობით ეკიდებოდა. მიუხედავად ბატონი თენგიზის უზადო ქირურგიული ტექნიკისა, მისთვის იოლი და რთული ოპერაცია არ არსებობდა. თითოეული თანაბარი დოზით საპასუხისმგებლო, საინტერესო და სიახლის წყაროც იყო.

აღსანიშნავია, რომ ბატონი თენგიზი მუდამ ფართო თვალსაწიერის პოზიციიდან უყურებდა კოლეგების სამეცნიერო შრომებს; მოწაფეებს მისთვის დამახასიათებელი ტაქტით სთავაზობდა გზას უკეთესობისაკენ, ახალბედა კოლეგებს უშურველად უზიარებდა ქირურგიის „საიდუმლოებებს“.

ასეთი დარჩა ბატონი თენგიზი ჩემს გულსა და მეხსიერებაში და დარწმუნებული ვარ ყველას ხსოვნაში, ვინც მას იცნობდა.

ლიანა საგინაშვილი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ქირურგიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი

# ჩიხუჩიყო მჭენიჭებო პიონერი!

ჩემი თაობის ქირურგების მისაბადი მაგალითი, მე ვიტყვოდი ქირურგიულ ოპერაციაში მშვენიერების შემომტანი და ფუძემდებელი.

ჩემს სტუდენტებს ხშირად ვესაუბრები იმ დიდ ქართველ ქირურგებზე, რომლებმაც რალაც ორიგინალური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი კვალი დატოვეს ქართულ ქირურგიაში და ბატონ თენგიზზე ვამბობ: როცა ის ოპერაციას აკეთებდა, გეგონებოდა ვირტუოზი პიანისტი როიალზე უკრავსო!

მართლაც ასე იყო: მისი ოპერაციის შემხედვარე სტუდენტებისგან ხშირად გამიგონია: ამას ხომ მეც გავაკეთებო,- ისე მშვიდად და მსუბუქად მუშაობდა, რომ ურთულესი მანიპულაციები უმარტივესი გვეჩვენებოდა! ისე, როგორც მსოფლიოს ყველა უდიდესი აღმოჩენა აღმოჩენის შემდგომ უმარტივესი გვეჩვენება, ასე იყო მისი ოპერაციაც! აბა, სხვაგვარად როგორ უნდა იყოსო, იფიქრებდი ოპერაციის შემდეგ.

მე ბატონი თენგიზი საოპერაციოში პირველად 1970 წელს ვიხილე და მაშინვე მომაჯადოვა მისმა დახვეწილმა ქირურგიულმა ტექნიკამ. 1971-72 წლებში ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრაზე სუბორდინაციის კურსს გავდიოდი აკად. მამია კომახიძის ხელმძღვანელობით. თავიდანვე შეინიშნებოდა, რომ ეს დიდი პიროვნება რთულ სიტუაციებში გადაწყვეტილებებს თენგიზ ახმეტელთან ერთად იღებდა. ძალიან კარგად მახსოვს პაციენტი არხანგელსკი, საბჭოთა კავშირის ბაიდარების ოლიმპიური ნაკრების მწვრთნელი, რომელიც კლინიკაში ფოთიდან გადმოიყვანეს მუცელში გაურკვეველი ტკივილის გამო. მამია კომახიძის, თენგიზ ახმეტელისა და კლინიკის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა მეზენტერიულ სისხლძარღვთა თრომბოზის დიაგნოზი დაისვა ოპერაციამდე და ასევე, ეს იყო საქართველოში ამ პათოლოგიით გადარჩენილი პირველი პაციენტი, რაშიაც ბატონი თენგიზის ლომის წილი იყო ჩადებული.

მინდა ერთი უმცროსი კოლეგისეული, ჩემეული შეფასება მოგახსენოთ. ერთ ცნობილ მედიცინის პროფესორს ეპიგასტრიუმში ტკივილი დაეწყო. მთელი ქალაქის ქირურგიული ელიტა დაეხვია და დაწყებულ იქნა კონსერვატიული მკურნალობა მწვავე ქოლეცისტიტის დიაგნოზით. მდგომარეობა არ გაუმჯობესდა. პატრონებმა პაციენტი ბატონ თენგიზს გაასინჯეს. გასინჯვისთანავე დაისვა დიაგნოზი: წყლულის პერფორაცია. ბევრი არ დაეთანხმა, რის გამოც ოპერაცია მხოლოდ მეორე დღეს, დაგვიანებით გაკეთდა და დაგვიანების გამო ფატალური შედეგი მივიღეთ.

აკად. ეგნატე ფიფია ქირურგიასთან ერთად დეონტოლოგიასაც გვასწავლიდა და ერთხელ გვითხრა, კარგ

ექიმს პაციენტის მიძიმე მდგომარეობა სახეზე არ უნდა აღებეჭდოს, რადგან ექიმის სახის გამომეტყველებით პაციენტი თავისი ავადმყოფობის სიმძიმეს და პროგნოზს ხვდებაო. გუშინდელივით მახსოვს: ერთ ახალგაზრდა ბიჭს 1972 წლის გახაფხულზე აკად მ.კომახიძის და ბატონი თენგიზის მიერ ოპერაცია გაუკეთდა განივი კოლინჯის სიმსივნით გამოწვეული გაუვალობის გამო. პაციენტი განკურნებული გაეწერა. ორი წლის შემდეგ ზაფხულში პაციენტი კვლავ შემოვიდა კლინიკაში ნაწილობრივი გაუვალობის დიაგნოზით. ეჭვი სიმსივნურ გაუვალობაზე იქნა მიტანილი. დაწყებულ იქნა კონსერვატიული მკურნალობა და კლინიკური კვლევა. პატრონები ლიკანში გაიქცნენ და მეორე დღეს ბატონი თენგიზი ჩამოიყვანეს. გაკეთდა ოპერაცია. მართალია გაუვალობა სიმსივნით არ იყო გამოწვეული, მაგრამ ოპერაცია პერიტონიტის ფონზე დაგვიანებული აღმოჩნდა. პაციენტის მდგომარეობა დამძიმდა. თენგიზ ახმეტელი 72 საათი კლინიკიდან არ გასულა. პაციენტთან ის მშვიდი სახით შედიოდა. მაგრამ დაგვიანებული ოპერაციის გამო მის სახეზე მწუხარებას და სინანულს მისი უმცროსი კოლეგები აშკარად ვამჩნევდით. სამი კომარული დღის და დაძაბული შრომის შემდეგ მეოთხე დღეს ბატონი თენგიზი მიოკარდიუმის ინფარქტით თვითონ გახდა კარდიოლოგების პაციენტი! ეს მისგან იყო ადამიანური თანაგრძნობისა და დიდი სინანულის გამოსატყა: თენგიზ ახმეტელი დიდი ქირურგი და დიდი ადამიანი იყო!

ერთ შემთხვევას კიდევ გავიხსენებ: 1977 წელს კლინიკაში მკურნალობდა პაციენტი წყლულოვანი ეტიოლოგიის სისხლდენის გამო. შაბათ საღამოს პაციენტს დაეწყო ტკივილი ეპიგასტრიუმში. ყველა ქირურგს მოეხსენება, რომ სისხლდენის ფონზე ტკივილი არცთუ ხშირი სიმპტომია, ამიტომ ოპერაცია 13-15 საათის შემდეგ გაკეთდა. აღმოჩნდა არა პერფორაცია, არამედ კუჭის გახეთქვა. მოგეხსენებათ ამ ორი რთული ავადმყოფობის შეუღლება პროგნოზულად რაოდენ საშიშია. მიუხედავად ასეთი დიდი რისკებისა, პაციენტი განკურნებული გაეწერა. როგორც იშვიათი შემთხვევა ამის შესახებ ქირურგიული საზოგადოების სხდომას მოხსენადა. სიტყვა აღექსანდრე ბეთანელმა ითხოვა და ჯერ იმაზე ისაუბრა, რომ კლინიკაში მწვავე შემთხვევის დროს ოპერაციული მკურნალობის ასე დიდი დროით დაგვიანება დაუშვებელია და პაციენტს საფრთხეში აყენებს, რაც შეეხება იმას, რომ პაციენტი გადარჩა, „გადარჩა იმიტომ, რომ ოპერაცია თენგიზ ახმეტელმა გააკეთა!“

დიდი ქირურგი და მართალი კაცი იყო ბატონი თენგიზი და უფალს შევსთხოვ დაუმკვიდროს სასუფეველი იქ, სადაც მართალნი განისვენებენ!

*როსტომ ცხვედიანი, ქირურგი*

P.S. თარიღი რომ დავსვი, შემდეგ გავიფიქრე: სიმბოლურია, რომ ეს სტატია ერეკლე მეორის დაბადების დღეს დამიწერია: ნოდარ ლომიძე, ლევან ძნელაძე, კიდევ რამდენიმე ჩემი თაობის ქირურგი და მე ბატონ თენგიზს ხშირად პატარა კახის სახელით მოვიხსენიებდით.